ოთხშაბათი 21 მარტი 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 62

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და სადამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., სადამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—10)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., სადამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—71)

ექიმი
შ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და სადამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, ხახლი აბუულაძისა, № 26. (25—6.—8)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიული. დილით 9—10 ს., სადამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. სადამოთი, ი—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—63)

# სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
ვანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

ექ. ფ. ი. რუდინკო — შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.
ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი — ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.
ექ. მ. ი. იანჩევსკი — ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და სამშ. 2—3 ს.
ექ. ვ. ვ. ვნუკოვი — ქირურ. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.
ექ. ა. ფ. როზმაინსკი — საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
ექ. ერმოლაევი. შინ. და ბავშ. ყოველ დღე, 11—12 საათამდე.
ექ. ნ. მ. ანზიმოვი — ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
ექ. გუციევი. ნერვ. სამშ., ოთხშ. და შ.ბ. 12—1 ს.
ექ. ა. ა. ნოვიცკი — ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, კვირას გარდა 1—2 ს.
ექ. გორადლევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
ექ. ა. ი. პავლოვსკი. ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე.
ექ. ნ. ი. ნეუიმინი — თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 ს.
ვ. ი. ინაევი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
ექ. ა. ნ. თეთრაძე — კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.
ექ. ვ. გ. ზილოვსკი — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
ექ. ა. ა. მთიწე — ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.
ექ. გორონცოვი. — მასაჟი, ყოველ დღე 11—1
ექ. ზ. ფ. ნევშტროევა — კბილისა, ყოველ დღე 11—5.
ექ. გ. მ. პივარსკი | კლინიკური ანალიზი.
ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი |
ექ. გ. ი. თონოზკო — საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—66)

—ლაქტო-ბაცილიანი რძე—
მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ
ა. ს. კლემანსკის
ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში
ვორონცოვის მეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 389. (100—51—99)

# შავი-ქვის ამხანაგობის
სალიკვიდაციო კომისსია ამით აცხადებს, რომ ჰყიდის ამხანაგობის შენობას ჭიათურაში. შენობა შესდგება ორ სართულიან სახლისაგან. ქვედა ქვითკირისა და ზემოთი ხისა. ზემო სართული სახლისა მშვენიერად მოწყობილია კანტორისათვის. ვაჭრობა დაიწყება რვაას თუმნიდან—8000 მან. ვაჭრობა მოხდება ამხანაგობის კანტორაში მარტის 22 დღესა ხუთშაბათს, დილის 10 საათზე.
(4—6.—3)

ქართველ ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.
ადრესი: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.
(30—უ.—1) ია ეკალაძე-ცინცაძე.

ქართული წარმოდგენა
ტფილისის საკრებულო
პარასკევს, 23 მარტს ქართული დრამატიული არტისტებისაგან ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
# სტუმარი
დრამა 2 მოქ. თხზ. ბრანდესისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.
# დედაკაცის საქმე
კომედ. 2 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.
ადგილების ფასი 3 მანეთიდან 50 კაპეიკამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ქუთაისში
გაიხსნა საწყობი ნამდვილი
# ყიფიანის ღვინისა
ქაიხოსრო ოტიას ძე ყიფიანის საკუთარი ვენახებიდან. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენია.
ქუთაისი, ვ. ჭილაძის შენობაში სობოროს პირდაპირ, „კომერციულ“ სტამბის გვერდით. (15—კვ.—4)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.
# „კოლხიდა“
აწვდის სოფლის მეურნეთგან შემოწმებულ აბრეშუმის თესლს, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (იონჯა, კონდარი), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მეფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—8)

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა
აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1906 წლის საზოგადო კრებამ საწევრო გადასახადი დააწესა
# სამი მანეთი.
ამასთან ამავე კრებამ დაადგინა, დაემატოს „საზოგადოების“ წესდებას ახალი მუხლი: „წევრობა ჩამოერთმევა იმ წევრს, რომელსაც ერთი წლის გადასახადი არ ექნება შემოტანილი და იგი ხელახლა იქნება მიღებული წევრად უკენჭოდ, როცა სრულად გადიხდის მაზე დარჩენილს საწევრო ფულს“.
ამ მუხლის ძალით, ვინც ამ 1907 წლის განმავლობაში არ შემოიტანს საწევრო ფულს, ის 1908 წლის პირველ იანვრიდან გამორიცხული იქნება წევრობიდან.
გამგეობა აუწყებს ამასვე „საზოგადოების“ აგენტებს და სთხოვს მათ, მოაგონონ წევრებს საზოგადო კრების დადგენილება და თავის დროზე შემოატანინონ საწევრო გადასახადი.
გამგეობას იმედი აქვს, რომ, რა-კი საწევრო გადასახადი შემცირდა, არავის გაუძნელდება მისი შემოტანა და ყოველი წევრი ეცდება მოაწოდოს თავისი წვლილი „საზოგადოებას“, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ დღეს მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში იმყოფება. (6—უ—6)

პირველ მარტიდან უკვე მიიღება ხელის მოწერა
ოსურ გაზეთზე
# „ნაუაგ ცარდ“
(ახალი ცხოვრება)
რომელიც კვირაში ორჯელ გამოვა.
გაზეთის ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით . . . . | 4 მან. | სამი თვით . . | 1 მ. |
| ნახევარი წლ. | 2 მ. | ერთი თვით . | 50 კ. |

წლიური ხელის მომწერნი წლის დამლევს უფასოდ მიიღებენ ოსს მწერალთა ერთ-ერთ ნაწარმოებს.
ადრესი: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36.
რედაქტორ-გამომცემელი პ. თედეევი.

ტფილისი, 21 მარტი.

რამდენჯერმე გვქონია შემთხვევა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რა ხასიათის რეფორმებს ჰპირდება და უმზადებს „საკონსტიტუციო“ სამინისტრო დატანჯულს რუსეთს. ჩვენ ნათლად დავვინახავს, რამდენად არ შეეფერება მთავრობის ლიბერალური ფრაზა-დაპირებანი იმ კანონ-პროექტებს, რომელთაც ის ამზადებს სათათბიროსთვის. ერთს ამგვარს მაგალითს გვაძლევს მთავრობა კიდევ.

სტოლიპინის დეკლარაციამ დიდის რიხითა და ამბით აუწყა ქვეყანას, რომ მთავრობის მთავარი ცდა არის, გაადემოკრატოს ადგილობრივი სათემო და საქალაქო თვითმართველობა. პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ შეუძლებელია რუსეთის პოლიტიკურ წესწყობილების განახლება, თუ ადგილობრივი თვითმართველობა არ გადაკეთდა დემოკრატიულ პრინციპების მიხედვით, თუ ერობა და საქალაქო მმართველობა ხალხს არ დაუახლოვდა, თუ თვითმართველობა ხალხური არ შეიქნა. ეს უტყუარი ჭეშმარიტება და განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთ-ერთი მიზანიც არის—ადგილობრივ თვითმართველობის გადემოკრატება. ამიტომ საფიქრელი იყო, რომ ამ პუნქტში მთავრობა და ხალხი ან ხალხის წარმომადგენელნი ერთმანეთში მორიგდებიან და ამ მხრით მაინც სასარგებლოს საქმეს შეჰქმნიან,—ისეთ რასმეს, რაც საფუძვლად დაედება რუსეთის წესწყობილების განახლების საქმეს.

მაგრამ თურმე ეს იმედიც ფუჭი ყოფილა, როგორც სხვა იმედებიც: სტოლიპინის სიტყვისა და საქმის შორის აქაც დიდი საზღვარი ყოფილა... გუშინ მიღებულ პეტერბურგის გაზეთებში ჩვენ ვიპოვეთ ორიოდე ცნობა იმის შესახებ, თუ როგორი განზრახვა ჰქონია სამინისტროს საქალაქო თვითმართველობის „გადაკეთების“ შესახებ. ეს „გადაკეთება“, ეს „რეფორმა“ ისე შორსაა თვითმართველობის რეფორმის გადემოკრატებისაგან, როგორც ცა და დედა-მიწა... ჯერ მთავრობის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი საქალაქო თვითმართველობის შესახებ სრულიად გამოქვეყნებული არაა, მაგრამ ის ზოგადი ცნობებიც, რომელნიც გამომჟღავნდა, საკმაოდ გვიხასიათებენ იმ ნაბიჯს, რომლის გადადგმა გაუბედნია მთავრობას. ეს ნაბიჯი ისე მოკლეა, იმდენად გაუბედავი და მიზნის შეუფერებელი, რომ გაოცებაში მოდიხარ და უნებლიედ ჰფიქრობ, რა პირით შეჰხედავს სტოლიპინი სათათბიროს, როცა ამ პროექტს წარუდგენს განსახილველად ხალხის იმ წარმომადგენელთ, რომელთა წინაშე ესოდენის რიხით აღიარა თვითმართველობის გადემოკრატების და სრულ გადაკეთების საჭიროება?!.

თავი და თავი ნაკლულოვანება აწ არსებულის საქალაქო თვითმართველობისა მისი ცენზიანობაა, რომელიც მას ვიწრო კლასსიურ დაწესებულებად ხდის. ქალაქის თვითმართველობა, ქონებრივ ცენზის წყალობით, ხელში ჩაიგდეს ვაჭრებმა და მდიდარ სახლის პატრონებმა; ხალხი შორს არის თვითმართველობისაგან. ამ გარემოებამ დასცა და დააბეჩავა ქალაქის მეურნეობა, ქალაქის კეთილდღეობის საქმე; ამ გარემოებამ შეჰქმნა ისეთი ცალმხრივი საქალაქო პოლიტიკა, რომ თვით-მართველობა მავნებელ დაწესებულებად გახდა. ამიტომ ხალხიც, პრესსაც, საზოგადოებაც და თვით საქალაქო საბჭოებიც ერთხმად ღაღადებდნენ ამ ნაკლის მოშორების საჭიროებას და როგორც მაგალითს დასავლეთ ევროპის ქალაქებზე უთითებდნენ მთავრობას, სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლებამ მუნიციპალიტეტი განსაცვიფრებლად აღამაღლა და გააძლიერა. მოსალოდნელი იყო, რომ ახლა მაინც, როცა რუსეთის განახლებაზე მიდგა ჯერი და თვით მთავრობამ აღიარა თვითმართველობის გადემოკრატების საჭიროება, წინანდებურად ბიუროკრატიულად ნახევარ-ზომებს არ იკადრებდნენ, მაგრამ ამაოა თურმე ეს მცირე მოლოდინიც. მთავრობის „ახალი“ პროექტი უცვლელად სტოვებს ორს წინანდელს ცენზსს: ისევ მდიდარი სახლის პატრონი და შეძლებული ვაჭარი ისარგებლებს საქალაქო საარჩევნო უფლებით და მათ მიემატება მხოლოდ მდიდარი ბინის დამქირავებელი. ეს არის და ეს განსაზღვრული „რეფორმა“ და ამას უწოდებს თურმე მთავრობა თვითმართველობის გადემოკრატებას! მკითხველებმა იციან, ალბათ, რომ ასეთი წესი უკვე არსებობს პეტერბურგისთვის და მთავრობას ახლა ჰსურს ეს წესი მთელს რუსეთზე გაავრცელოს. უეჭველია, საქალაქო დებულების სხვა მხარეებიც ამის შესაფერად იქნებიან გადაკეთებულნი და ამგვარად ჩვენ გვექნება ისევ ძველი წესი სულ უმნიშვნელო დეტალების შეცვლით; დარჩება ცალმხრივი, კლასსიური, ნახევრად ბიუროკრატიული დაწესებულება, იმავ ხასიათისა, იმავ მიმართულებისა, რომელიც მე-80 წლების სარეაქციო მთავრობამ შეჰქმნა საზოგადოებრივ მოძრაობისათვის მუხრუჭის მოსაჭერად...

ეს ერთი მაგალითიც სავსებით ახასიათებს თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მთელ დღევანდელ პოლიტიკას: ყოველი მისი რეფორმა, ვითომ რუსეთის განახლებისათვის გამოწყობილი, უმნიშვნელო დეტალების შეკეთებაა; ხოლო მთელი დამპალი და გათახსირებული შენობა ძველის რეჟიმისა, მისი აზრითა და განზრახვით, უცვლელად უნდა დარჩეს... ჩვენ ვიცით, რომ ეს ნამდვილი უტოპია არის, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არავინ იცის, კიდევ რამდენი მსხვერპლი, ტანჯვა და ვაება მოელის ხალხს, სანამ ამ უცნაურ „უტოპიზმს“ ბოლოს მოუღებს.

## სათათბირო და საბჭო
(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს სხდომა.** სხდომა დაიწყო 11 ს. და 11 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით. სათათბირომ მოისმინა სია იმ კანონ-პროექტებისა, რომელიც ამ უკაუკანასკნელ დღეებში მთავრობამ შეიტანა. მოისმინა აგრეთვე მოხსენებანი კომისიის რაოდენობის შესახებ. ეს კომისია დაარსდა სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ. მოისმინა აგრეთვე შეკითხვა კამიშინის პოლიციის უკანონო მოქმედების შესახებ. ბოლოს სათათბირო შეუდგა კამათს აგრარულ კანონ-პროექტის ძირითად საფუძვლების გამო. პირველად ილაპარაკა თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ.

თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ განაცხადა, რომ მე კერძო ჩემ აზრს გამოვსთქვამ და არა პარტიის შეხედულებასაო. პირველყოფილი თემი, ორატორის აზრით, შეიცავს უდიდეს ტორმაზს პროგრესისას. ორატორი დასავლეთ ევროპის მაგალითებით ამტკიცებს, რომ საჭიროა სოფლის მეურნეობა გადავიდეს პროგრესიულ ინდუსტრიალურ საადგილ-მამულო საკუთრებაზე. უსარგებლო პალიატივია გლეხთა მიწათ-მფლობელობის გადიდებაო, სთქვა ორატორმა. ერთად-ერთი ხსნა ის არის, გლეხობა გადასახლებულ-გადმოსახლებულ იქმნას და დაცულ იქნას კერძო საკუთრება, როგორც მატარებელი კულტურისა, ინიციატივის აღმძრელი და მეურნეობრივ დამოუკიდებლობისაო (ტაში მარჯვნივ, ცენტრში სიჩუმე, მარცხნივ აქა-იქ: „კმარა, კმარაო“).

კარავაევმა (მშრომელ ჯგუფის წევრი) დიდძალ სტატისტიკურ მაგალითებით დაამტკიცა, რომ გლეხის ოჯახის შემოსავალი ორთა შუა რიცხვით წელიწადში 38 მანეთია. აუცილებელი შედეგი ამისა არის ავადმყოფობანი, სიკვდილი და მცხოვრებთა გადაგვარება. ამისი ნაყოფია აგრარული არეულობანი, რადგან გლეხის დამშეული კუჭი უპირველესი მეამბოხეა. გლეხები ამბობენ: „ჩვენ ღარიბები ვართ, რადგან სიბნელეში ვიმყოფებით, არავითარი უფლება არა გვაქვს და გადასახადი კი იმდენი გვადევს, რომ თავს ზევით გვცილდებაო.“ გლეხის შრომის ნაყოფის გადიდება დამოკიდებულია ქონებასა, შეძლებასა და თვითმოქმედებაზე. მთავრობა ყოველთვის ფეხით სთელავდა გლეხის მეურნეობის ამ კეთილდღეობის წყაროებს. ეს მთავრობა მუდამ იმას სცდილობდა, რომ დაეცვა მმართველ და შეძლებულ კლასთა ინტერესები. მხოლოდ ამ უკანასკნელ თერთმეტ თვეს შეუდგა მთავრობა მუშაობას საგრარო საქმეში, მაგრამ ეს მუშაობა მიზანს ვერ აღწევს. გლეხის მეურნეობის ნაყოფიერებისთვის საჭიროა განსაზღვრული მინიმუმი მიწისა, რომელზედაც ჯერ არ შეიძლება ლაპარაკი. უმეტეს გუბერნიაში გლეხის მიწის რაოდენობა ხუთ დესეტინასაც ვერ აღწევს. ერთად-ერთი ხსნა და შველა ის არის, რომ მიეზომოს გლეხობას მიწა და გადიდდეს მისი მიწათ-მფლობელობა. ამისთვის ორი გზაა: ერთი გადასახლება, მეორე ის, რომ მიეცეთ გლეხებს კერძო მესაკუთრეთა მიწები. გადასახლება არღვევს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს და არც სასურველ ნაყოფს იძლევა, რადგან არ მოიპოვება სამყოფი თავისუფალი მიწა. მხოლოდ მაშინ, როცა კერძო მესაკუთრეთა მიწები გადაეცემა გლეხობას, გაჩნდება სამყოფი მიწა და გაიზრდება გლეხის შემოსავალი. მაგრამ მთავრობა ამისთვის თავს არ იტკივებს. პირიქით, მთავრობის უკანასკნელი საკანონმდებლო აქტები უფრო დასცემენ და დაადარიბებენ გლეხებს. გაჩნდება სოფლად ახალი წოდება—სოფლელი ბურჟუა და წვრილი მესაკუთრე. ფაქტიურად ამათ ხელში გადავა გაბოგანავებულ სოფლელთა მიწა. სოფლელ ბურჟუაში მთავრობა სამართლიანად ხედავს რეაქციის საუკეთესო მომხრეს. აი, ამ წოდების შექმნა აქვს აზრად მთავრობის საგრარო კანონ-პროექტებს, ეს არის პოლიტიკური მიზანი მთავრობისა. მაგრამ მთავრობას ავიწყდება, რომ სოფლელ ბურჟუასთან ერთად იზრდება ახალი კლასი სოფლელ პროლეტარისა, რომელიც მთავრობას თავზარს დასცემს. მშრომელთა ჯგუფმა შეიმუშავა ძირითადი საფუძვლები აგრარულ კანონ-პროექტისა და ამით იგი დაადგა ახალ გზას საგრარო პოლიტიკის საქმეში: „შრომის ნაყოფი მშრომელსავე უნდა დარჩეს.“

წერეთელმა მოიყვანა ისტორიული ცნობები ეკატერინე მეორის და პავლე პირველის მეფობის დროიდან. ამ ცნობებით იგი ამტკიცებდა, რომ რუსის მოხელეთა არისტოკრატია—მიწის არისტოკრატიაა. სახელმწიფო ინტერესები მსხვილ მემამულეთა ინტერესებად მიაჩნდათ, მსხვილი მემამულენი მუდამ ნათესავად მოჰხვდებოდნენ მთავრობას. აი, აქედან წარმოსდგა ვითომდა წმინდა ხელ-უხლებელი უფლება კერძო საკუთრებისა. ამ პოლიტიკამ მიიყვანა რუსეთი მუკდენსა და ცუსიმამდე (ამ დროს მარჯვნიდან დაიძახეს: „მაგავე პოლიტიკამ მოიყვანა სომხები რუსის პარლამენტშიო“) სამწუხაროდ, მიუგო მათ წერეთელმა, თქვენ სცდებით, როგორც ბევრ სხვაშიაც: მე ქართველი ვარ. ეხლანდელ მომენტის მიზანია—შექმნა ახალ სახელმწიფოებრიობისა და დანგრევა მემამულეთა წმინდა უფლებისა მიწაზე. ეს მიზანი განხორციელებული იქნება ხალხის ძალებით. ამისდა მიუხედავათ, სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ გარდასცა სათათბიროს თავმჯდომარეს ძირითადი საფუძვლები საგრარო კანონ-პროექტისა.

კუტლერი: შრომის ჯგუფის პროექტი არა საზღვრავს გლეხისთვის საჭირო მიწის სივრცის გადიდებას, რაც თავისს თავად ცხადია. მაგრამ საჭიროა შეთანხმება და სურვილი, რომ ძირიანად გადაქმნილ იქმნას მიწის ყოველი საურთიერთო უფლება-დამოკიდებულებაო. კუტლერი წინააღმდეგია მიწის ნაციონალიზაციისა. ნაციონალიზაციის უსაფუძვლობა, ცხადია, პროექტის ავტორებსაც სცოდნიათ, რადგან მიწის ნაჭრების ფასი საჭირო შრომის ნაკლებ უანგარიშნიათ და სახეში მიუღიათ ისიც, თუ ხალხის შემეცნება რამდენაც სცნობს დღევანდელ მიწის პატრონების უფლებას. გლეხებისთვის პირდაპირ შემწეობის აღმოჩენა თავისს თავად იმდენად დიდი საქმეა, რომ არავის უფლება არა აქვს გაართულოს იგი სხვა და სხვა ზედმეტ რეფორმით, რომელიც აგრარულ საკითხს აუსრულებელ ოცნებად გადააქცევს. პრინციპიალურად მთავრობაც საჭიროდ სცნობს, რომ გლეხებს მიწა მოეჭრათ, თუმცა მისი კანონ-პროექტები მიზანს ვერ მიაღწევენ. დროთა სახელმწიფო გლეხებისათვის დედი-ნაცვლის მაგიერ კეთილ დედად გადაიქცეს. კადეტთა პარტია, სცნობს რა კერძო მამულების ჩამორთმევის საჭიროებას, ამით სრულებითაც არ არღვევს კერძო საკუთრების უფლებას, რადგან მიწების ჩამორთმევა მუქთად კი არ მოხდება, არამედ სამართლიანის დაფასებით, დაახლოვებით 90 მანეთად ერთ დესეტინა. ეს ფული უნდა გადაიხადონ როგორც მთავრობამ, ისე გლეხობამაო. შემდეგ კუტლერმა სთქვა: შრომის ჯგუფი თხოულობს, რომ მიწა მიეჭრას ყველა მსურველს, კადეტები კი—მხოლოდ გლეხებს და მიწის პატრონებს შრომის ჯგუფის პროექტით მიწა უნდა გადაიცეს დროებით სახმარებლად, კადეტები კი—სამუდამო კუთვნილებად. ბოლოს კუტლერმა სთხოვა ყველას, კამათს ნუ აჭიანურებენ, ილაპარაკონ არსებითად, რომ საკითხი დროით გადაეცეს აგრარულ კომისიას. აგრარულ კომისიის გახსნით დაიწყება სათათბიროს ნამდვილი აგრარული მუშაობაო, დაამთავრა სიტყვა კუტლერმა (ტაში ცენტრში).

დიმოვსკიმ ილაპარაკა პოლონეთის და სამხრეთ და ჩრდილო დასავლეთის გუბერნიების სახელით და განაცხადა: რუსეთში მთელის იმპერიისათვის ერთი საერთო აგრარული საკითხი არ არსებობს. რუსეთში იმდენი აგრარული საკითხია, რამდენიც სხვა და სხვა განსხვავებული ოლქია ისტორიით, წარსულით და ადგილობრივის ელფერით. შიგ რუსეთში აგრარულ საკითხის გადაწყვეტაში კადეტებს ვეერთდები, მაგრამ პოლონეთის აგრარული საკითხი ცალკეა გადასაწყვეტი. სანამ ამა თუ იმ სოციალურ რეფორმას ცხოვრებაში გაატარებდნენ, საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას უფლებრივი, ნაციონალური და სარწმუნოებრივი, შევიწროვება. საჭიროა შექმნილ იქმნას ახალი ადგილობრივი თვითმმართველობა და შეუფარდდეს ერთმანეთს კანონი და მისი აღსრულებაო. თავის აზრის დასამტკიცებლად, ორატორმა დაიწყო ლაპარაკი სასკოლო საქმეზე პოლონეთში.

პურიშკევიჩმა დაიძახა: რა კავშირი აქვს მაგას აგრარულ საკითხთანაო.

თავმჯდომარე: ორატორის შეჩერების უფლება თავმჯდომარეს აქვს და არა თქვენ.

პურიშკევიჩი: მერე რატომ არ შეაჩერებთ?

დიმოვსკი (პურიშკევიჩს). თქვენ კი მოთმინება დაგეკარგათ?

პურიშკევიჩი: რასაკვირველია.

დიმოვსკი: ჩვენ კი 40 წლის განმავლობაში ნამდვილ რუს-მტარვალების გავლენით მოთმენა ვისწავლეთო. ორატორმა თავისი სიტყვა იმითი დაათავა, რომ აგრარული საკითხი პოლონეთში უნდა გადასწყვიტოს მხოლოდ პოლონეთის ავტონომიურმა სეიმმა მას შემდეგ, როცა გამოირკვევა პოლონეთის დამოუკიდებლობა რუსის მთავრობასთან. ჩრდილოეთისა ან სამხრეთ-დასავლეთის მხარეში აგრარულ საკითხის გარჩევა ადგილობრივ დაწესებულებებს შეუძლიან.

2 საათს და 15 წუთზე სხდომა შესწყდა და განახლდა 3 საათსა და 16 წუთზე.

შიდლოვსკიმ მოითხოვა, რომ კომისიაში ადგილი უპარტიოთაც მიეცეთ, რათა კომისიაში შევიდნენ მარტოდ-მარტო მიწის მუშები და მიწის პატრონები და არა ისინი, ვინც თავიანთი მამულები ქეიფში გაჰყიდეს და მიწას სრულიად ჩამოშორდნენ. იმათ რუსეთის ინტერესები არაფრად მიაჩნიათ. (თავმჯდომარე: აქ მაგისთანა არავინაა). ორატორმა თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა, რომ სათათბიროში ერთი კაციც არ არის, რომელსაც სურს კედელი ამართოს მიწის მუშასა და მიწის პატრონს შუა. მაშ ავირჩიოთ კომისია 99 საგან და აგრარულ საკითხს არსებითად ნუ შევეხებითო.

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მიწათ-მოქმედების მინისტრმა თავ. ვასილჩიკოვმა.

თავადი ვასილჩიკოვი. მთავრობა სიამოვნებით ეგებება სათათბიროს, როგორც სჩანს, შეთანხმებულ სურვილს, რათა შემოსულ კანონ-პროექტებისა და განზრახვათა დაწვრილებით განსახილველად ცალკე საადგილ-მამულო კომისია დაარსდეს. ამ წუთში მთავრობას არ შეუძლიან არ გამოსთქვას თავისი აზრი სათათბიროს წევრთა სახელით შეტანილ წინადადებათა შესახებ და მალე გამოსთქვამს ამ თავის აზრს სათათბიროს დებულების მე-56 მუხლში აღნიშნულ წესის თანახმად. ხოლო, ბატონებო, ამ ადგილზე მდგომარემ არ შემიძლიან არ წარმოვთქვა რამდენიმე სიტყვა საგნის განხილვის საზოგადო წესის შესახებ, რომლის თანახმად დღეს უნდა განხილულ იქნას საადგილ-მამულო საკითხი. ყველასათვის თვალსაჩინო მიზეზით ისე არავის არ ეჩქარება ამ საკითხის სავსებით გადაწყვეტა, როგორც თვით მთავრობას და ამავე დროს არავის არ შეუგნია ისე, როგორც მთავრობას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება რაიმე უკაზის ან ბრძანების გამოცემით და საფიქრებელიცაა, რომ ეს საკითხი ვრცლად განზრახულ საადგილ-მამულო რეფორმით გადაწყდეს. საჭიროა დალაგებული და გეგმაზე აგებული საკანონმდებლო მოღვაწეობა; საჭიროა დრო ამ საჭირბოროტო საკითხის გამოსარკვევად. უნდა მივმართოთ არა მჭერმეტყველებას, არა სიტყვებს, არამედ ციფრებს, ფაქტებსა და სინამდვილეს. ამავე დროს არ შეგვიძლია არა ვსთქვათ შემდეგი: ვშიშობთ, რომ ბევრთა იმედი, ამ რეფორმის ასრულებაზე დამყარებული, ციფრებთან შედარების შემდეგ სავსებით არ გამართლდება. ჩემდამი რწმუნებული უწყება კარგა ხანია მუშაობს იმის გამოსარკვევად, თუ ამ ნიადაგზე რა უნდა გაკეთდეს და რის გაკეთება შეიძლება, და ყველა შედეგი, მთელი ის რწმენა, რომელსაც ჩვენ დავადექით, იმ კანონ-პროექტებშია გამოთქმული, რომელიც ამ ჟამად თქვენ განსახილველადაა შეტანილი. დღემდის სხვა და სხვა ზომების შემოღების დროს ჩვენ ამ კანონ-პროექტებით ვხელმძღვანელობდით. ყველა ამას თქვენ ამ ჟამად კრიტიკულად შეეხებით. ჩვენი პროექტებისა და განზრახვების რიგი გაჩვენებთ, რომ საადგილმამულო საკითხის გადასაწყვეტად საჭირო ჩვენგან განზრახული ზომები წარმოადგენენ არა მიზანს, არამედ საშუალებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთის მრავალ-რიცხოვან გლეხობის შრომა და ცხოვრება მაშინ ჩადგება წესიერ კალაპოტში, როცა ჩვენ მიწათმომქმედ ქვეყანაში მეურნეობას შესაფერი ადგილი მიეცემა. როცა ეს ასრულდება, ჩვენ სახელმწიფოს ცხოვრებაში ახალი ხანა დადგება, დადგება ახალი ხანა გლეხთა ცხოვრებაშიაც. ხალხის გაღატაკება მოისპობა, კეთილდღეობის ხანა მოგვევლინება. ჩვენ მიერ განზრახულ ზომებში პირველი ადგილი უჭირავს გლეხთა მიწათ-მფლობელობის პირობათა თვისებისა და რაოდენობის გაუმჯობესობას. და ის საშუალებანი, რომლითაც ჩვენის აზრით უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, გაჩვენებთ, რომ ჩვენ კარგად გვესმის, რომ რეფორმა უეჭველად გამოიწვევს შეტაკებას ცალკე პირების, ჯგუფების და წოდებების ინტერესების შორის. ჩვენ ვალდებულნი ვართ დავიცვათ ხელუხლებლობა იმ საზღვრებისა, რომელნიც ამ ინტერესებს შორის იმყოფება. მხოლოდ გვესმის ჩვენი ვალდებულება დავიცვათ მხოლოდ იმ ზომად, რამდენადაც იგი ადამიანის ნამდვილ ინტერესების დაცვას უდრის. სადაც არ უდრის, იქ ამ ინტერესების საზღვრები რეფორმის განხორციელებისაკენ უნდა იქნას წაწეული. ჩვენ მიერ თქვენდა გადასაწყვეტად შეტანილ პროექტში თქვენ შეხვდებით გლეხთა მიწით-სარგებლობის გაუმჯობესობას. ვდგევართ რა ამ ნიადაგზე, ვცნობთ ამა თუ იმ შემთხვევაში ამ საზღვრების ძალდატანებით შეცვლის საჭიროებას და ვფიქრობთ, რომ არ ვარყევთ კერძო საკუთრების ყველა დანარჩენ საფუძვლებს, რომელთაც დღეს სამართლიანად სახელად წმინდა უწოდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამონაკლისი მხოლოდ განამტკიცებს ძირითად წესს. ამ ნიადაგზე ჩვენ ერთი იოტიდაც არ ვშორდებით კერძო საკუთრების პრინციპს, რომლის დასაცველად მოწოდებულნი ვართ. უფრო შორს მივდივართ და ვაცხადებთ, რომ კერძო საკუთრებისაგან გამომდინარე კეთილდღეობა გლეხთა მიწათმფლობელობის იმ თვალ-უწვდენ ტერიტორიაზე უნდა იქნას გავრცელებული, რომელიც დღემდის ამ კეთილდღეობას მოკლებული იყო. ამას, ვიმეორებ, შეგნებულად ვმოქმედებთ, რადგან გვრწამს, რომ კერძო საკუთრება მიწის მუშაკის შრომას ანაყოფიერებს, რომ მხოლოდ ამ პრინციპთან შეუღლების შემდეგ მიწის მუშაკის შრომას შეუძლია მოიპოვოს ის სასწაულებრივი ძალა, რომელიც ქვიშას—ოქროდ და სალ კლდეებს აყვავებულ ბაღად აქცევს.

ბასკინი. სახალხო სოციალისტთა სახელით შეუერთდა მშრომელთა ჯგუფის პროექტს მან აღნიშნა განსაკუთრებული ხასიათი აგრარულ საკითხისა სამთო-მადნო ოლქებში. დასასრულ, ორატორმა საჭიროდ სცნო, რაც შეიძლება ჩქარა შესდგეს ადგილობრივი კომიტეტები მოსამზადებელ სამუშაოთა ორგანიზაციისათვის.

ზიმინმა მოიყვანა ისტორიული ცნობები იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება იყო მიწის მუშასა და იმის მტრის თავად აზნაურობის შორის. (პურიშკევიჩმა თავმჯდომარის როლი მიითვისა და წინადადება მისცა ორატორს, ილაპარაკოს აგრარულ საკითხის ძირითად საფუძვლებზე). ორატორმა განაგრძო სიტყვა იმის აზრით, აგრარული საქმე უნდა გადასწყვიტოს ხალხმა, ხალხის მიერ არჩეულმა ადგილობრივმა კომიტეტებმა.

აფანასიევი მომხრე იყო სათემო (ობშჩინა) მიწათ-მფლობელობისა. მან პასუხი გასცა თავ. სვიატოპოლკ-მირსკის და სთქვა: სათემო მიწათ-მფლობელობა უფრო დაეცემა მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ძალები წვრილ ერთეულებად დანაწილდებაო.

ხვოსტოვის აზრით, ხალხი მაშინ დამშვიდდება, როდესაც იმისი ეკონომიური მდგომარეობა ამაღლდება. ორატორმა სთქვა, რომ მთელი მიწა გამოუსყიდველად მშრომელთა ხელში უნდა გადავიდესო.

ბოგატოვმა იმედი გამოსთქვა, რომ სათათბირო სისხლის დაუღვრელად შესძლებს ხალხის სურვილის განხორციელებასაო.

ნეჩიტაილომ პროტესტი განუცხადა მემარჯვენეებს, რომელთაც სთქვეს, გლეხები უვიცები არიანო.

რეინმა მემარჯვენეთა სახელით მოითხოვა, საკითხი რაც შეიძლება მალე აგრარულ კომისიას გადაეცეს. იმის აზრით, კომისიის საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს მხოლოდ საზოგადო დირექტივები. კომისიის უმთავრესი საქმე იქნება საკითხის დანაწილება არა მარტო არსებითად, არამედ ტერიტორიალურად.

მღვდელმა კოლოკოლნიკოვმა მოითხოვა, რომ მიწა გლეხობას გამოუსყიდველად გადაეცეს. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ მემამულეებმა ფულიც მისცენ გლეხებს დღემდე მშრომელთა ექსპლოატაციისთვის და მათი შრომის ნაყოფით სარგებლობისთვის.

კრუპენსკის საჭიროდ მიაჩნდა სერიოზული და მოსაქმე კომისია. იგი შეეხო ზიმინის სიტყვას და სთქვა, რომ ამ გძელ სიტყვაში, რომელიც გაჟღენთილი იყო შეძლებულ კლასებისადმი სიძულვილით, ზიმინმა ბოლომდე არა სთქვა, რაც სათქმელი იყო. თუ გაყოფაო, სთქვა კრუპენსკიმ, ყველაფერი უნდა გაიყოს და არა მარტო მიწა. მემამულეებს უნდათ აგრარული საკითხი გადასწყვიტონ სხვების გაუძარცვავადაო.

მღვ. ტიხვინსკიმ, სტოლიპინის დეკლარაციის უკანასკნელ სიტყვების სასტიკ და ხანგრძლივ კრიტიკის შემდეგ, განაცხადა, რომ გლეხთა კავშირი და მშრომელთა ჯგუფი მოითხოვენ, გადაეცეს ხალხს მთელი მიწა გამოუსყიდველად. მემარჯვენეთა ორატორმა იმით დაამშვიდა, რომ ამ საქმის დროს რუსის ძლიერი და ჭკვიანი ხალხი არ დაივიწყებს მათ და უშემწეობოთ არ გაუშვებსო. შემდეგ ორატორი შეეხო კადეტების აგრარულ პროგრამას და სთქვა, რომ კადეტებმა სამართლიანობა სხვერპლად შესწირეს საქმიანობასაო.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აგრარულ საკითხის გამო დღეს სიტყვა წარმოსთქვა 18 ორატორმა, ჩაწერილია კიდევ 115 ორატორი. ხვალ განსახილველია საკითხი ბიუჯეტის შესახებ და ფინანსთა მინისტრის განმარტებანი. ამიტომ გთხოვთ დანიშნოთ დღე აგრარულ საკითხის გამო კამათის განსაგრძობად.

სათათბირომ ამ საკითხისთვის დანიშნა კვირაში ერთი დღე სახელდობრ ორშაბათი.

პურიშკევიჩი შეეკითხა თავმჯდომარეს, რატომ აქავე არ შეიტანა სათათბიროში განსახილველად საჩქარო განცხადება მემარჯვენეებისა. ეს განცხადება შეეხება პოლიტიკურ მკვლელობებს.

თავმჯდომარემ სთქვა, რომ საჩქარო განცხადებები რიგ-რიგით უნდა იქნენ განხილულიო.

სხდომა დაიხურა 5 საათსა 57 წუთზე.

## ახალი ამბავი

◆ **მოთხოვნილებანი.** 19 მარტს ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის თვითმმართველობის 9 დაწესებულების მუშათა მოთხოვნილებანი. მოსამსახურენი ითხოვენ: თვიურ ჯამაგირად 40 მანეთზე არა ნაკლებს; ქალაქის ხარჯით საშუალო სასწავლებლებში მათის ბავშვების გამოზრდა; ქალაქის მიწების დარიგებას დასასახლებლად (ნაძალადევსა, ნავთლუღსა და დიდუბეში); ითხოვენ აგრეთვე, რომ მიღება თუ დათხოვნა იყოს მუშების საქმე; უფასო მიმოსვლა ტრამვაით; თუ სამსახურიდან გავლენ, იმდენი თვის ჯამაგირის ოდენა მიეცეთ, რამდენი წელიც უმსახურნიათ; წელიწადში ერთი-ნახევრის თვით სამსახურიდან განთავისუფლება, ყოველ 5 წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირის 20% ის მომატება ავადმყოფობის დროს შემწეობა ჯამაგირის ნახევარის ოდენა და დაზღვევა მუშებისა ქალაქის ხარჯით. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, უსახსრობისა გამო უყურადღებოდ დასტოვოს ეს მოთხოვნილებანი.

◆ **ბოქაულის მოკვლა.** ახალციხიდან გვატყობინებენ: 18 მარტს, საღამოს 5 საათზე, საპოლიციო სამმართველოში, რევოლვერით მოკლულ იქმნა ახლად დანიშნული ახალციხის ბოქაულად პეტროსოვი. მოჰკლა იგი მისმა წინამოადგილემ, ბოქაულად ნამყოფმა, პოპოვმა. მკვლელი შეიპყრეს.

◆ **აგრარული კომისია.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფ. და ქუთ. გუბერნიის დეპუტატთა ინიციატორობით შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა მოხსენების შედგენა დროებით ვალდებულ გლეხთა მიწათ-მფლობელობის მოწყობის შესახებ. კომისიამ დაასრულა მასალის მოგროვება და ამ დღეებში შეუდგება მოხსენების შემუშავებას. ნაწილი მასალისა კომისიის მდივანმა სიმინმა უკვე გაუგზავნა დეპუტატს არჩილ ჯაფარიძეს.

◆ **ფულის გაფლანგვა.** ამ დღეებში ტფ. ოლქის სასამართლომ განსახილველად მიიღო საქმე ტფ. საკომერციო ბანკის კასირის ივანე ნაზარიანცისა და ამავე ბანკის ბუღჰალტერის თანაშემწისა, რომელთაც ჰბრალდებათ 49,647 მან. 36 კაპ. ბანკის ფულის გაფლანგვა. ამ საქმის დასაფარავად ბრალდებულთ მოუსპიათ 37,759 მან. ორდერები, შეუდგენიათ 31 ორდერი. ეს ბოროტმოქმედება მომხდარა 1903 წელს. ბანკის გამგეობას ეს მხოლოდ 1905 წელს გაუგია. სასამართლოს ბრალმდებელთან აღნიშნულ პირთა პასუხის საქმე განსახილველად დანიშნა 22 მაისისათვის. ბრალდებულთ იცავს ვექილი ტურკევიჩი.

◆ **სხდომა არ შესდგა.** 19 მარტისათვის დანიშნული ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა, რადგან ხმოსანთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა. განსახილველად დანიშნული იყო 20-მდე საქმე.

◆ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნებიან: [illegible] არჩვაძე, ვიქტორ ხაბურძია, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, ისაია ხარჩევაძე, გიორგი ასათიანი, და [illegible]; ოზურგეთის მაზრელი გიორგი [illegible]; ტფილისის მაზრელი [illegible] ტაძე და გორის მაზრელი ილია ხიდაშვილი ამათ ბილეთები არ აღმოაჩნდათ და ამას გარდა აბრალებენ მუშების გაფიცვას და ტერორისტულ აქტებს. ვიატკის გუბერნიაში ორის წლით იგზავნება ლ. მურადოვი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა. ტფ. გუბერნიიდან ეტაპით იგზავნებიან ალ. ზაიკინი და პ. შტენგერი. დააჯარიმეს სახლის პატრონები: კირტაძე—20 მანეთით, ოჰანეზოვი—25 მ., მელქუმოვი და ქუთაისის სათავ.-აზნაურო სახლის (ანდრეევის ქუჩაზე) გამგე ივ. ჯაფარიძე—სამ-სამი თუმნით.

◆ **გაზეთის შეჩერება.** სომხური გაზეთი „ოსანქი“ უსახსრობისა გამო შეჩერებულ იქმნა.

◆ **გაძარცვა.** შულავერიდან გწერენ, რომ 19 მარტს, სადგურ სანაინზე თავს დასხმია დეპოს უფროსს ავაზაკთა ბრბო. დაუჭრიათ იგი და წაურთმევიათ 100 მანეთამდე. გაქცევისას, გზაზე გაუძარცავთ გზის ოსტატიც და მიმალულან.

◆ შაბათს 17 მარტს, გაიმართა კონცერტი ცნობილ მომღერალ ქალის ვან-ბრანდტისა. როგორც მოსალოდნელი იყო, თავის მშვენიერის სიმღერებით ვან-ბრანდტმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. რამდენჯერმე გაამეორებინეს რომანსები. საზოგადოებამ მომღერალი ვაშას ძახილით და ტაშის კვრით ეტლამდე მიაცილა.

◆ მაჰმადიანთა დღესასწაულს იმამ კრიხის გამო 22 მარტს ტფილისის აბანოები დაიკეტება.

◆ 19 მარტს, საღამოს 8 საათზედ, პეტრე დიდის ქუჩაზედ, პოლიციის მეორე ნაწილში, ვიღაცამ «ნადეჟდის» საზოგადოების აგენტს სულხანოვს ორჯელ თავში დაჰკრა ჯოხი. სულხანოვი წაიქცა. უცნობი დაემუქრა, ეხლა ეს გეყოფა და თუ ტფილისიდან არ წასულხარ, სიცოცხლეს გამოგასალმებო.

## ქუთაისის ქრონიკა

◆ 18 მარტს ქალაქის საბჭომ, 27 ხმის უმეტესობით 5 წინააღმდეგ, მიიღო საფინანსო კომისიის მოხსენება ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ, რომელიც უპირატესობას აძლევს „მ. ე. ლაღიძისა და ამხ.“ წინადადებას ამხანაგობა „Свѣтъ“-ის წარმომადგენლის წინადადებასთან შედარებით.

კომისიის აზრით, პირველ ხანებში ქალაქს შეუძლიან დასდგას სულ 50 ათას-სანთლიანი ფანარი, უმთავრესად ქალაქის ცენტრალურს ნაწილში. თითო ფანრის დადგმა და პირველი მოწყობა ქალაქს დაუჯდება 120 მანეთად, ანუ სულ 6,000 მანეთად.

◆ ქალაქის საბჭომ ერთხმად დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე საალყო წესების მოხსნის შესახებ.

◆ 18 მარტს, დღის 12 საათზე, ქალაქის ბაღში კაზაკებმა შეიპყრეს გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე შ.—ცი, რომელსაც ვითომც კაზაკებისათვის პროკლამაცია უნდა მიეცეს; მეორე მოწაფესაც გამოედევნენ დასაჭერად, მაგრამ მოასწრო გაქცევა და მიმალვა.

◆ ქალაქის გამგეობა იძულებული გახდა დროებით შეეჩერებინა ქუთაისის მცხოვრებლების საოჯახო სიების შედგენა, რადგან უადგილოდ დარჩენილ ინტელიგენტთა ბიურომ ძლიერ დიდი დამატებითი ხარჯი მოითხოვა. ქალაქის საბჭომ ამ საქმისთვის გადასდო 1600 მ. სიები უნდა შედგენილიყო ორი თვის განმავლობაში. ერთი თვის მუშაობის შემდეგ ინტელიგენტთა ბიურომ მოითხოვა დამატებითი ხარჯი 2850 მანეთი და ამასთანავე სამუშაოს ორი თვით გაგრძელება. ქალაქის გამგეობამ ბიუროს გაუსწორა ანგარიში და საქმეც შეაჩერა.

◆ 16 მარტს, ქალების გიმნაზიის მახლობლად, ერთმა ახალგაზდა ყმაწვილმა, გვარად ქუთათელაძემ (იგივე ქუთათელაძე, როგორც თვითონ ამბობს) სამჯერ ესროლა რევოლვერი ერთ მოწაფე ქალს ადამიას, მაგრამ ტყვია სამივეჯერ ააცდინა. დამნაშავე მაშინვე შეიპყრეს (არც კი გაქცეულა). მიზეზი უიმედო სიყვარული ყოფილა, რაშიაც ყმაწვილი თითონვე გამოტეხილა.

✦ 17 მარტს, საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზე, ქალაქის ბაღთან, ვიღამაც მძიმედ დასჭრა რევოლვერით ქ. შეგოვი და ნ. ბეთანოვი. პირველს ტყვია წინიდან მოხვედრია მკერდში და გასულა ზურგში; მისი მორჩენა ძლიერ საეჭვოა. მეორე კი მსუბუქად დაჭრილა მუცელში ამავე ტყვიით. უცნობი მიიმალა. დაჭრის მიზეზი ნამდვილად არ იციან. ამბობენ, ვითომც შეცდომით დასჭრეს ორივე, სხვისი მოკვლა უნდოდათო.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ჭიათურა**. მაგალითი გადამდებიაო, ამბობენ რუსები. ამნაირი საქმე დაემართათ ჩვენ ს.-დემოკრატებს. დღევანდელმა რეჟიმმა მათაც ასწავლათ თვითმპყრობელობის სადერდელი და თუ პირში მართალი უთხარით ან ამხილეთ რაშიმე, მაშინვე წამოიქობებიან და მუქარას დაგიწყობენ: „ამასა და ამას თავი დაანებეთ; თორემ იძულებული ვიქნებით მასაც (ე. ი. „ისარის“ რედაქციას) ისე მოვექცეთ, როგორც გაზეთ „მუშას“-ო. რას ნიშნავს ეს სიტყვები? ნუ თუ გვამხელთ, ჩვენს უკუღმართობას საქვეყნოდ ნუ ხდით, თორემ ჩვენს ყურ-მოჭრილ არმიას ვუბრძანებთ, თქვენი გაზეთი აღარ წაიკითხონო. ამას სწერს ივანიკა და ბეჭდავს გაზეთი „წინ“, ის-კი ავიწყდებათ, რა შეურაცყოფას აყენებენ იმ პირთ, რომელსაც თავის არმიად გულისხმობენ.

მიუხედავად მუქარისა, რომელიც „ისარსაც“ ისე არ შეაშინებს, როგორც „მუშა“ არ შეუშინებია, ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ს.-დემოკრატიულ უკუღმართობას თავისი სახელი ვუწოდოთ.

„წინ“-ის კორესპონდენტი ივანიკა გვიხირდება, „ისარსა“ და თქვენს უმორჩილეს მონას „მეჭორეთ“ გვნათლავს იმისთვის, რომ ქვეყანას ვაცნობეთ ს.-დ—ი მერკვილაძეს თავს დასტირიან-თქო. ჩვენი სიტყვის გასამართლებლად აი რასა სწერს: „მერკვილაძისა და იმისი რაზმის მოქმედება რეაქციას უფრო ამაგრებდა, ვიდრე რევოლიუციას და ს. დ. მოვალეობა იყო შორაპნის რაიონიდან მისი გაყვანა. რაც მოახერხა კიდეც, ე. ი. მერკვილაძემ არა თუ მოსპო პარტიზანული თავდასხმები, ს.-დემ—ის წინადადებით გავიდა კიდეც შორაპნის მაზრიდან, მხოლოდ (ეს „მხოლოდ“ კარგი) შორს წავსლაზე უარი განაცხადა.“ ამ სიტყვებიდან, ივანიკას გარდა, ყველა იმ დასკვნას გამოიყვანდა, რომ ს. დ. მერკვილაძის მოქმედება გულში არ უყვარდებოდა და ჩვენც ამაზე მეტი სხვა არაფერი გვითქვამს. მერკვილაძე, ბრძანებს ივანიკა, „უჩადი არ იყო (ჩვენ როდის-და მოგვნათლეთ უჩადად, აბა დაგვისახელოს!) და თუ შემცდარ ტაქტიკას თავს დაანებებდა და ორგანიზაციის დირექტივებით იმოქმედებდა, გლეხთა მოძრაობაში სარგებლობას მოიტანდაო“. სხვა ნაირად რომ ვთქვათ, ივანიკას სიტყვით, მერკვილაძე რომ არ ყოფილიყო და თუ გინდათ ივანიკა ყოფილიყო, მაშინ ის ქვეყანაზე ბედნიერებას დაამყარებდა. იქნება, ვიტყვით ჩვენ, მაგრამ ამ საგანზე ბასსი რომ წყლის ნაყვა გამოვა, რომელიც, როგორც ეტყობა, ძლიერ უყვარს ივანიკას. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ძალიან მჯერა, რომ ს. დ. და ა—ს შორის უკანასკნელ ხანებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო, მაგრამ ნუ თუ ივანიკა უარს იტყვის, რომ ა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა ს.-დ. პარტიაში ჯერ სამტრედიის რაიონში, მერე ჭიათურაში და, ასე გასინჯეთ, უკანასკნელ არჩევნებშიაც! არა მგონია ბ-ნმა ივანიკამ უარჰყოფს ეს და მაშინ ჩემი ცნობა ა—ს შესახებ სინამდვილესთან სწორია და მისგან ხმარებული უშვერი სიტყვები დანძღვის მისთვისვე დაიბრუნებია, ხოლო მუქარით კვლავ ის შეაშინოს, ვინც წინად შეუშინებია.

„წინ“-ის იმავე ნომერში იგივე ივანიკა იაფ-ფასიან სასადილოების შესახებ მოგვითხრობს, რომ ჭიათურის და ჭიქოურის სასადილოების მოსამსახურენი მრეწველთა საბჭოს უჩივიან—რამდენიმე თვეა ჯამაგირი არ მოგვცაო. ამასთან თავიანთ კრებაზე გადასწყვიტეს ჩვენის წარმომადგენლის პირით გამცნოთ ს. დ. მუშათა ორგანიზაციას ჩვენი მდგომარეობაო. კრებაზე ის აზრიც კი გამოთქმულა, რომ საბჭო სასადილოებს ზედმეტად სთვლის და ყურადღებას არ აქცევსო.

საკითხი სასადილოების შესახებ დიდი ხანია სალაპარაკოდ არის გამხდარი და მეტად არ მიგვაჩნია ამ საქმეს ჟკეროვანი ნათელი მოვფინოთ. ჭიათურის სასადილო დაარსდა 1905 წლის აგვისტოში. ამავე წლის დეკემბრისთვეში მრეწველთა კრებაზე დაპარაკი აღიძრა, რომ იაფ-ფასიან სასადილოებს მრეწველთა საბჭომ დახმარება აღმოუჩინოს. სასადილოების კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ჯაფარიძემ აცნობა კრებას, რომ ყოველ-თვიური ზარალი სასადილოებისა არ აღემატება 234 მან. და 15 კაპ. კრებამ პრინციპიალურად გადასწყვიტა დახმარების აღმოჩენა, ხოლო სუბსიდიის რაოდენობაზე სჯა გადასდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დრომდე. გულ-მავიწყობისა თუ სხვა რამ მიზეზით, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სასადილოები არავის გაახსენდა, და კრება ისე დაიხურა, რომ კრინტიც არ დაძრულა სასადილოების დახმარებაზე. კრების პრინციპიალურს გადაწყვეტილების მიხედვით, საბჭომ მსჯელობა იქონია სუბსიდიის რაოდენობაზე და იმ გადაწყვეტილობას დაადგა, რომ ჭიათურის სასადილოს მიეცეს 3000 მანეთი, ხოლო ჭიქოურისას, როცა იგი გაიხსნებოდა, 2000 მანეთი. ამის მიხედვით საბჭოს 1907 წ. 1 იანვრამდე ჭიათურის სასადილოსთვის უნდა მიეცა ერთი წლისა და ხუთის თვის სუბსიდია ანუ 4125 მანეთი, ხოლო ჭიქოურის სასადილოსათვის, რომელიც წარსული წლის ენკენისთვეში გაიხსნა, 700 მანეთი. ორივესთვის ერთად 4825 მანეთი. ნამდვილად კი საბჭომ გადასცა სასადილოებს დღემდის 7574 მანეთი და მიმდინარე თვის განმავლობაში აპირებს მიცემას 696 მანეთს, ერთად 8270 მანეთს.

მკითხველი დარწმუნდება აქ მოყვანილ ცნობებიდან, რომ მრეწველთა საბჭო იაფ-ფასიან სასადილოებს ზედ-მეტად არა სთვლის, რაც გამოიხატა იმაში, რომ 4820 მანეთის მაგივრად 8270 მანეთით დაეხმარა და თუ სასადილოები თავის მიზანს ვერ აღწევენ, მოსამსახურეები რამდენიმე თვეობით ჯამაგირს არ იღებენ, და დავალიანდნენ, აქ დამნაშავე მრეწველთა საბჭო კი არა, სასადილოების მეთაურები და თვით მოსამსახურენი არიან. ერთნიც და მეორენიც საბჭოს დამოუკიდებლად მოქმედებენ. საბჭოს მოვალეობა ერთხელ განსაზღვრულ ფულის მიცემაა, სხვა სასადილოების კომიტეტსა და მოსამსახურეებზეა დამოკიდებული, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ დაპირებულთან შედარებით ბევრად მეტი ფული მიიღეს საბჭოსაგან, მაინც საქმე საქმეზე ვერ მოიყვანეს, დავალიანდნენ და შეუძლებელია ხელში შემოაკვდეთ ისეთი სასარგებლო დაწესებულება, როგორიც სასადილოებია.

რა არის ამისი მიზეზი? გადაჭრილ პასუხის მიცემა ამ კითხვაზე, ცოტა არ იყოს, ძნელია. ხოლო ხალხის მითქმა-მოთქმას თუ დავუჯერებთ, სასადილოების უკან სვლის უპირველესი მიზეზი არიან მოსამსახურენი, რომლების ჯამაგირები და გადამეტებული მოთხოვნილებანი ძირს უთხრიან საქმეს. გარდა ამისა, მეთაურების უთაურობისა და წინდაუხედაობის მიზეზით, სანოვაგე ძვირად ჯდება და მიუხედავად იმისა, რომ სასადილოების მრავალი მუშტარი ჰყავთ, მათი ზარალი რაც დრო გადის, მატულობს.

ჩვენ წინ განზრახულის აზრით აღვნიშნეთ „ხალხის მითქმა-მოთქმა“, რადგან სხვა მასალა სასადილოების მოქმედების დასაფასებლად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ. ანგარიშები, სისტემატიური ანგარიშები სასადილოების შესახებ ჩვენ გვრსად ვნახეთ და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებიდან შეუძლებელია საქმის ნამდვილ ვითარების გამოკვლევა. ამ შემთხვევაშიაც ბრალი სასადილოების ჭირისუფლებს ედებათ და ნუ გაგვიწყრება ნურც ივანიკა და ნურც მისი თანამოაზრე სასადილოების მოსამსახურე, რომ აქ აღნიშნულ სიმართლეს ვამხელთ.

ფ.

### იოლლოსის მოკვლა

გუშინ მოსული მოსკოვის და პეტერბურგის გაზეთები სავსეა ცნობებით გ. ბ. იოლლოსის მოკვლის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ვერაგულმა და შემაძრწუნებელმა ბოროტ-მოქმედებამ უზომოდ შეაწუხა მთელი განათლებული და მოწინავე რუსეთი. ყველა აღშფოთებულია და სასტიკად ჰგმობს იმ შავრაზმელ და გაბოროტებულ ჯგუფს, რომელიც, ეჭვი არაა, ამგვარ უაზრო მკვლელობებით ჰფიქრობს ოპოზიციის მოღვაწეთა დაშინებას...

თვით მკვლელობას ასე აგვიწერენ გაზეთები. 14 მარტს, $1^{1}/_{2}$ საათზე, ნაშუადღევს, სპირიდონოვსკის დიდ ქუჩაზე გაისმა რევოლვერის ხმა: ვიღაცეებმა ოთხჯერ დასცალეს რევოლვერი. უბნის ზედამხედველი და პოლიციელი მივარდნენ იმ ადგილს და ტოროპოვის სახლის ალაყაფის კარებთან ნახეს სასიკვდილოთ დაჭრილი ხანში შესული კაცი, რომელიც 2 წუთის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. ქაღალდებით აღმოჩნდა, რომ იგი იყო „რუსსკ. ვედომ.“-ის ერთ-ერთი რედაქტორი გრ. ბ. იოლლოსი. ქუჩაში იმ დროს არავინ ყოფილა, ასე რომ მკვლელები ვერავის დაუნახავს. თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ მკვლელებმა რევოლვერები ტოროპოვის ეზოდან ისროლეს, შემდეგ ისარგებლეს მეორე ჭიშკრით და მეორე ქუჩაზე (ნიკიტსკაიაზე) გავიდნენ. ტოროპოვი „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის მოსკოვის განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგი ყოფილა. სამ საათზე ამ სახლს ალყა შემოარტყეს, გაჩხრიკეს, მაგრამ, რასაკვირველია, [illegible] ნიკიტსკის ქუჩაზე, ტოროპოვის სახლისავე პირდაპირ, [illegible] გაზეთის „ვეჩე“-ს რედაქცია; პოლიციამ ეს სახლიც გაჩხრიკა, რადგან ტოროპოვის სახლის ზოგმა მდგმურმა სთქვა, დავინახეთ, რომ 4 კაცმა ეზო გაირბინეს და ხსენებულ რედაქციისაკენ გაემართნენო.

გაზეთები აღნიშნავენ, სხვათა შორის, რომ იოლლოსის მოკვლის დღეს, 14 მარტს, შავრაზმელთა გაზეთ „რუსსკ. ზნამ.“-ში უცნაური ნიშანი იყო: ზევიდან სათაურად ეწერა „რუსთა კავშირის მოქმედება“-ო; ამის ქვემოდ დიდი ჯვარი იყო გამოსახული და სხვა არაფერი; მერე ჩვეულებრივი ტექსტი (დეპეშები) იწყებოდა. ამ გარემოებამ ბევრი უფრო დაარწმუნა, რომ ეს მკვლელობაც, როგორც ჰერცენშტეინისა, ამ „კავშირის“ საქმეა და ეს წინ და წინვე სიმბოლიურად აღნიშნა მისმა გაზეთმაო. სათათბიროში მემარჯვენეთ კრება ჰქონიათ და ეპისკოპოზს ევლოგის კიდეც მიუმართავს პურიშკევიჩისათვის—რას ნიშნავს ეს ჯვარიო. პურიშკევიჩს უპასუხნია, ამ ჯვარს არავითარი კავშირი არა აქვს იოლლოსის მოკვლასთანაო, ჩვენი „კავშირი“ უდანაშაულოა ამ საქმეში, რასაც კიდეც დავამტკიცებო...

„რუსსკ. ვედომ.“-ში დაბეჭდილია წერილები კადეტთა ფრაქციის ყველა გამოჩენილ და სხვა პარტიების ცნობილ მოღვაწეებისა, რომელნიც დიდის თანაგრძნობით და სიყვარულით იხსენიებენ განსვენებულს; არის წერილები სტრუვესი, კიზეტტერისა, ბულგაკოვის, ვ. გესსენის, ევ. ტრუბეცკოის, ს. კოტლიარევსკისა და სხვათა; ყველანი აღნიშნავენ გრ. ბ. იოლლოსის დიდ პუბლიცისტურ ნიჭსა და ღვაწლს რუსეთის წინაშე; აღიარებენ აგრეთვე, რომ ასეთი მკვლელობა ვერ დააშინებს განმათავისუფლებელ მოძრაობის მოღვაწეთ. ვ. გესსენი ასე ათავებს თავის მშვენიერ წერილს: „უიარაღოთ გამოვედით ჩვენ ბრძოლის ველზე. რწმენის ძლიერებით გვინდოდა მტრის ძლევა. ჩვენი მტერი მშიშარაა: იგი უკან იწევა, როცა ძალას ჰხედავს. ჩვენი მტერი სას-

## ფელეტონი

### ჰენრიხ ჰეინე

იდეები *)

(თარგმანი გერმანულიდან)

**თავი V.**

Mon Dieu!*) იმდენი რწმენა რომ მომცა, მთების ადგილიდან დაძვრა შემეძლოს, ნამდვილად იოჰანნისბერგი იქნებოდა ის მთა, რომელსაც თან გავიყოლებდი ყველგან, საცა წავიდოდი; მაგრამ, რადგან რწმენა ამდენად მტკიცე არა მაქვს, ისევ ფანტაზიას უნდა მივენდო და ის მალე გადამაფრენს მშვენიერ მდინარე რეინისაკენ.

ოჰ, რა საუცხოო ქვეყანაა, სიყვარულითა და მზის შუქით სავსე! ცისფერ მდინარეში ირეკლებიან წყლის ნაპირები თავისი ნანგრევებით, ტყეებითა და ძველი ქალაქებით. ზაფხულში საღამ-საღამოობით იქ სახლის კარებზე მოქალაქენი სხდებიან, გძელ ჩიბუხით თუთუნს ეწევიან, მშვიდობიანად მასლაათობენ იმაზე, თუ როგორი იქნება ღვთისგან დალოცვილი ყურძნის მოსავალი, სასამართლოებს თუ გახსნიან საჯაროდ, როგორ „არა მკითხე მიამბესავით“ მოსჭრეს თავი მარი-ანტუანეტას, როგორ გააძვირა ბაჟმა თუთუნი, როგორ გასწორდა ქვეყანა და სხვა და სხვა წოდება... მე მაგნაირი ლაპარაკის თავი არა მქონდა; მეტის სიამოვნებით ყმაწვილ ქალებს მოუჯდებოდი ხოლმე თაღიან ფანჯარასთან, დავცინოდი იმათ სიცილს, სახეს მიუშვერდი, რომ ყვავილებით ეცემათ, მერე გავიბუტებოდი და ვიყავი ასე გაჩუმებული, სანამ ერთ ერთი თავის საიდუმლოს ან სხვა რამ საგულისხმიერო ამბავს არ გამიზიარებდნენ. ტურფა გერტრუდი სიხარულით არ იყო, მე რომ ახლოს მოუჯდებოდი ხოლმე. ეს ყმაწვილი ქალი ცეცხლ-მოკიდებულ ვარდსა ჰგავდა და ერთხელ, ყელზე რომ შემომეხვია, ასე მეგონა დაიწვებოდა და სურნელებით დამელეოდა ხელში. ლამაზი კათარინა რომ მელაპარაკებოდა, მთლად სულის ნაზ ხმოვანებად გადიქცეოდა ხოლმე; იმის თვალებში წმინდა, ღრმა ციური ფერი იყო ჩასახული, რომლის მზგავსს ყვავილთა შორის თუ იპოვით, ადამიანებსა და ცხოველებს კი არასოდეს არა აქვთ; ყველა სიხარულით ჩაიხედავდა ამ თვალებში და ბევრი ტკბილი ფიქრი გაეღვიძებოდა გულში. ტურფა ჰედვიგს კი მე უყვარდი: მიუახლოვდებოდი თუ არა, თავს დაბლა ჰხრიდა; შავი, ხუჭუჭა თმა გადაიშლებოდა შეწითლებულ სახეზე და ამ თმებიდან გამოჰშუქდა ბრწყინვალე თვალები, როგორც ღრუბლიან ციდან ვარსკვლავები. იმისი დარცხვენილი ტუჩები სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა და მეც ვერაფერს ვეუბნებოდი; როცა დავახველებდი, შეკრთებოდა ხოლმე. ზოგჯერ შემომითვალა თავისი დის პირით, კლდეებზე სიზბილს თავი დაანებე და ნასვამ ან დაღალულ გულზე რეინში ტანს ნუ დაიბანო. ერთხელ იმის მხურვალე ლოცვას ყური მოვკარი ღვთისმშობლის ოქრო-ვარაყიან ხატთან, რომელიც, პატარა ლამპრით განათლებული, დერეფნის კუთხეში იდგა; ცხადად გავიგონე, ჩემ შესახებ ღვთისმშობელს რომ ევედრებოდა, „სიზბილი, სმა და ბანაობა მოაშლევინეო“. მე უთუოდ შემიყვარდებოდა ჰედვიგი გულცივად რომ ყოფილიყო ჩემთან, მე კი გულცივად ვიყავი მასთან, რადგან ვიცოდი, რომ უყვარდი. ჩემი სიყვარული თუ გსურთ, „en canaille“*) უნდა მოიპყრათ, ქალბატონო!

ტურფა იოანნა ამ სამი დის დეიდაშვილი იყო და მე მასთან ყოფნა მიყვარდა. იმან მშვენიერი ლეგენდები იცოდა და ფანჯრიდან რომ თავისი თეთრი ხელით იმ მთებს მაჩვენებდა, სადაც ყველა ის მომხდარიყო, რასაც მიამბობდა, ჩემ სულს რაღაც ჯადო ეუფლებოდა. ძველი რაინდები გამოდიოდნენ ციხე-დარბაზ ნანგრევებიდან და ერთმანეთს რკინის ლახვარსა სცემდნენ. ლორელეი ისევ მთის წვერზე იდგა და გალობდა თავის ტკბილ, დამღუპველ სიმღერას. მდინარე რეინი კი ბუტბუტებდა წყნარად, ჭკვიანურად და თან რაღაც შიშის მომგვრელ სიფრთხილით... ტურფა იოანნა კი მიცქეროდა ისე საოცნებოდ, ისე იდუმალად, ისეთი უცნაური და საყვარლად დანდობილ გულით, თითქო თითონ იყო ის ზღაპარი, რომელსაც მიამბობდა. იოანნა ტან-წერწეტა, ფერ-მკრთალი ქალი იყო, დაფიქრებული და სასიკვდილოდ დასნეულებული. თვალები ისეთი ნათელი ჰქონდა. როგორც თვით ჭეშმარიტება, ტუჩები — სასოების კამარად შეკრული. იმის სახის მოყვანილობაში დიდი მოთხრობა იხატებოდა და ეს მოთხრობა ღვთიური მოთხრობა იყო. იქნება სიყვარულის ლეგენდა იყო? არ ვიცი... მე კი ვერც ერთხელ ვერ გავბედე და თითონ მას ვერ ვკითხე. დაკვირვებით რომ უცქერდი, მშვიდობა და სიხარული მომევლინებოდა ხოლმე: ისეთ გუნებაზე ვდგებოდი, თითქო გულში ბედნიერი კვირა დღე მითენდებოდა და შიგ ანგელოზები ღვთის მსახურებას ასრულებდნენ.

ამისთანა ბედნიერ წუთებში ჩემი სიყმაწვილის ამბებს მოუყვებოდი ხოლმე და ყოველთვის გულ-დადებით მისმენდა. საოცარია!—სახელებს რომ ვერ მოვიგონებდი, თითონ გამახსენებდა; ხოლმე; გაკვირვებული ვეკითხებოდი, საიდან იცი მეთქი და ღიმილით მეუბნებოდა, იმ ჩიტებისაგან მაქვს გაგონილი, ჩემ ფანჯარასთან რომ ბუდობენო და მარწმუნებდა, ნამდვილად ის ჩიტები არიან, ბავშვობაში უწყალოთ სოფლის ბიჭებისაგან საკუთარი ჩემი ჯიბის ფულით რომ ვიყიდე, სიკვდილისაგან დავიხსენი და გავანთავისუფლეო. მე კი მგონია, იმიტომ იცოდა იმან ყველაფერა, რომ ისე ფერ-მიხდილი იყო და მართლაც მალე გადაიცვალა. ისიც იცოდა, როდის მოკვდებოდა და მთხოვა, ერთი დღით წინ წავსულიყავი ანდერნახიდან. რომ ვეთხოვებოდი, ორივე ხელი მომცა. ორივე თეთრი, ნაზი, თეთრი ხელი, წმინდა, როგორც სეფისკვერი, და მითხრა: „შენ მეტად კეთილი ხარ და როდისმე გული თუ მოგივა—გაიხსენე პატარა მკვდარი ვერონიკაო“.

ნუ თუ ეს სახელი იმ ყბედმა ჩიტებმა გაუმხილეს? მოგონების წყურვილი რომ მომივლიდა, რამდენჯერ მიტეხია თავი და მაინც არ გამხსენებია ეს საყვარელი სახელი.

ეხლა კი, რადგან გავიხსენე, წარსული სიყმაწვილეც ამიყვავდება ფიქრში და აი მე ისევ ბავშვი ვარ და სხვა ბავშვებთან ერთად დისსელდორფის მოედანზე ვცელქობ და ვთამაშობ მდინარე რეინის პირად.

**თავი VI.**

დიახ, ქალბატონო, მე იქა ვარ დაბადებული და ამას განგებ იმიტომ ვამბობ, თუ ვინიცობაა ჩემი სიკვდილის შემდეგ შვიდი ქალაქი—შილდა, კრეჰვინკელი, პოლკვიცი, ბოკუმი, დილკენი, გეტტინგენი და შეპპენშტედტი—ჩემ სამშობლო ქალაქად თავის დასარქმევად ერთმანერთს შეეცილა. დისსელდორფი ქალაქია რეინზე. იქ თექვსმეტი ათასი ადამიანი ცხოვრობს და ამას გარდა მრავალი ათი და ასი ათასი ადამიანი მარხია იქ დედა-მიწაში; ამათში ზოგიერთები ისეთებიცაა, რომ დედა ჩემი ეხლაც იტყვის ხოლმე, ცოდვაა მათი სიკვდილიო:—მაგალითად ჩემი პაპა და ბიძა, მოხუცი ფონ-გელდერნი და ყმაწვილი ფონ გელდერნი,—ორივე სახელ-განთქმული ექიმები იყვნენ: რამდენი კაცი გადაარჩინეს იმათ სიკვდილისაგან, თითონ-კი ამ სიკვდილს ვერ ასცდნენ. ღვთის მორჩილი ურსულაც მარხია იქა, რომელიც სიყმაწვილეში ხელით მატარებდა, და იმის საფლავზე ვარდის ბუჩქია ამოსული... როგორ უყვარდა იმას სიცოცხლეში ვარდის სუნი; იმის გული ნამდვილი ვარდის სურნელება და სიკეთე იყო. მოხუცებული, ჭკვიანი კანონიკიც მარხია იქა. ღმერთო, რა საცოდავი სანახავი იყო, ბოლო დროს რომ შევხვდი—მარტო სულისა და მალამოსაგან იყო შემდგარი, მაგრამ მაინც დღე და ღამ სწავლობდა, თითქო იმას სცდილობდა, რომ ჭიებს იმის თავში რამდენიმე ფიქრი არ დაჰკლებოდა. პატარა ვილჰელმიც მარხია იქა, და მისი სიკვდილი ჩემი ბრალია. ჩვენ ერთად ვსწავლობდით ფრანცისკანთა მონასტერში; ამხანაგები ვიყავით და იმ ადგილას ვიცოდით თამაშობა, სადაც ქვის კედლებს შორის მომწყვდეული დისსელი მიმდინარეობს. ერთხელ მე დაუძახე: „ვილჰელმ, მოდი, წყალში პაწია ცინდალი ჩავარდნილა, ჩადი და ამოიყვანე მეთქი“; იმან ცქვიტად ჩაირბინა ქვეშ, წყალზე გადებულ ფიცარზე ფეხი შედგა, ცინდალი წყლიდან ამოიყვანა, თითონ-კი შიგ ჩავარდა და, რომ ამოიყვანეს, სველი და მკვდარი იყო. პატარა კატუნიამ კი მერე დიდხანს იცოცხლა.

ქალაქი დისსელდორფი ძლიერ ლამაზია, და იქ დაბადებული თუ ხარ, შორ ქვეყანაში რომ გაგახსენდება, უცნაურ გუნებაზე დგები. მე იქა ვარ დაბადებული და ასე მგონია, თითქო ახლავე უნდა დავბრუნდე შინა. შინ მეთქი, რომ ვამბობ, ბოლკერის ქუჩა უნდა იგულისხმოთ და ის სახლი, სადაც მე დავიბადე. მოვა დრო, როცა ეს სახლი მეტად შესანიშნავი გახდება: მე კიდევაც შევუთვალე ამ სახლის პატრონს დედაბერს, არ გაბრიყვდე, გასასყიდათ არ გაიმეტო მეთქი. რასაც იმას მთელი სახლის ქირად აძლევენ, იმაზე მეტი მარტო ის საჩუქარი იქნება, ერთ დროს რომ წარჩინებული, მწვანე პირ-ბადიანი ინგლისელი ქალები მოსამსახურე გოგოს ხელში ჩაუდებენ, რომელიც იმ ოთახს უჩვენებს, სადაც მე პირველად მზის შუქი დავინახე, იმ პატარა საქათმესაც, სადაც მამა-ჩემი ყურძნის ქურდობისათვის დამამწყვდევდა ხოლმე, იმ შავ კარებსაც, რომელზედაც დედა-ჩემი ცარცით ასოების წერას მასწავლიდა. ოჰ, ღმერთო ჩემო! მე თუ ოდესმე სახელ-განთქმული მწერალი შევიქენი, ეს საცოდავი დედა ჩემის წყალობით მოხდება, ქალბატონო.

ი. ნაკაშიძე.

(გაგრძელება იქნება)

*) იხ. „ისარი“ № 59

*) ღმერთო ჩემო! მთარგ.

*) ძაღლსავით. მთარგ.

ტიკი და უწყალოა: იგი მხოლოდ უიარაღოებს ესხმის თავზე. მაგრამ ჩვენ უიარაღონი მაინც ჩვენ პოზიებზე ვრჩებით და იმ საშინელებას, რომელიც რუსეთზე მოდის, პირისპირ ვეუბნებით: „გაიხარე, კეისარო, სასიკვდილოთ გამზადებულნი სალამს გიძღვნიან“. გაგიმარჯოს მომავალო რუსეთო, სასიკვდილოთ გამზადებულნი სალამს გიძღვნიან!“

## რუსეთი

✦ **დამნაშავეთა შეწყალება.** ამ რამდენისამე ხნის წინად კატორგა გადაუწყვიტეს და მერე ტუსაღთა როტები მიუსაჯეს ოთხ კაცს დოლგოვს, გლაზოვს, მირონოვს და ერემეევს. ესენი „რუსის ხალხის კავშირის“ წევრებად იყვნენ და ამ კავშირის დავალებით რევოლიუციონერებს ებრძოდნენ. ზოგს კაცის მოკვლა, ზოგს კიდევ დაჭრა ჰბრალდებოდა. „რუსის ხალხის კავშირის“ ვოლსკის განყოფილებას შუამდგომლობა აღუძრავს ხელმწიფის წინაშე, ეპატიებინა სასჯელი ამ მკვლელობისა და დამჯელებისათვის. მართლაც, 8 თებერვალს, როგორც „რუს. ვედ“. და სხვა გაზეთები გადმოგვცემენ, ხელმწიფეს საკუთარის ხელით წაუწერია შუამდგომლობაზე: სრულად ეპატიოთ სასჯელი ოთხივესაო.

✦ **საიდუმლო თანხები.** ვინ არ იცის, რომ მინისტრებს და სხვა და სხვა დიდ თანამდებობის კაცებს დიდძალი ფული ეძლევათ „საიდუმლო ხარჯებისათვის“. არავინ არ იცის, რაზე ხარჯავენ მინისტრები ხალხის ფულს. ეხლა, დაკლების ნაცვლად, მოუმატებიათ. კიდეც ამ ხარჯებისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრს, მაგალითად, ამ საიდუმლო ხარჯისათვის“ მიეცა თურმე ოთხი მილიონი მანეთი; ფინანსთა მინისტრს — 313,000 მანეთი და ასე ყველას. მერე კიდევ იტყვიან რად იშევა რუსეთში გლეხობაო!

✦ **ექიმების პროტესტი.** 9 მარტს პეტერბურგში ექიმთა კრება მოხდა. მოისმინეს მოხსენება ექიმის ვიკდორჩიკისა სახელწოდებით—„ექიმები და სიკვდილით დასჯა“. ავტორის აზრით საკვირველი არაა, რომ სიკვდილით დასჯას ესწრება მღვდელი, იურისტი, ადმინისტრატორი და სხვ. ექიმების დასწრება კი სალი გონების წინააღმდეგიაო. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია ექიმთა შორის. ბოლოს კრება იმ დასკვნას დაადგა, რომ ექიმთა ყველა საზოგადოებამ მხნედ უნდა გამოილაშქროს სიკვდილით დასჯაზე ექიმთა დასწრების წინააღმდეგ. ამასთანავე კრებამ გადასწყვიტა, მიმართოს ყველა არსებულ მკურნალთა საზოგადოებას, რათა ამ საგნის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვან.

✦ **არყით ვაჭრობა.** მთავრობის მიერ გამოცემულ ანგარიშიდან სჩანს, რომ ხაზინას არყით ვაჭრობისაგან ყოველ წელს ხუთასი მილიონი მანეთი შემოსდის. ამავე დროს არყით ხალხის გონების დაბრმავებისა და შემოსავლით ხაზინის გადიდების საქმე ყოველ წელს იზრდება. მაგალითად 1905 წ. განმავლობაში სულ დაუმზადებია ხაზინას 26 მილიონი ვედრო არაყი (1904 წ. შედარებით 6 მილიონ ვედრით მეტი). წინა დროებში მთავრობა ჰპირდებოდა სასოფლო საზოგადოებათ, არყით სავაჭრო სახაზინო დუქნების გახსნისა და დახურვის ნებას მოგცემთო, მაგრამ მალე თავისი დაპირება უარჰყო, რასაკვირველია.

✦ **ადმინისტრატიულის წესით გაგზავნა.** 14 მარტს პეტერბურგიდან აღმოსავლეთ ციმბირში გაგზავნეს 500-მდე პოლიტიკური ტუსაღი, რომელნიც დაპატიმრებული იყვნენ მხოლოდ „საგანგებო დაცვის წესების“ ძალით.

✦ **ჰერცენშტეინის მკვლელთა დაპატიმრება.** „ტოვარიშჩ“-ს ბუდაპეშტიდან ატყობინებენ, რომ იქ დაუპატიმრებიათ იუშკევიჩ-კრასოვსკი და პოლოვნევი, რომელთაც ბრალდებათ ჰერცენშტეინის მოკვლაში მონაწილეობის მიღება და რომელთა დატუსაღება ფინლიანდიის სასამართლო მოითხოვდა რუსეთის მთავრობისგან. იქაურ პოლიციას უცნობებია პეტერბურგში ეს ამბავი და დაჰკითხებია, როგორ მოვიქცეო. პასუხი ჯერ არ მისულია.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მარტი.

**ბერლინი.** საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, აღმოსავლეთ პრუსიის 40 სამრევლო სკოლას 19 მარტიდან მოუსპეს შემწეობა სახელმწიფო ხაზინიდან. მიზეზი ამისა პოლონელ მოსწავლეთა გაფიცვაა.

**იაროსლავი.** პოშეხონის მაზრის ხუთი ვოლოსტი «რუსთა კავშირს» შეუერთდა.

**მოსკოვი.** ჩერნოპრუდნი ქუჩაზე სახლს, რომელიც 17 მარტს გაჩხრიკეს, დარაჯად ორი პოლიციელი დაუყენეს. დღისით იმ სახლში შევიდა ერთი, სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილი, უცნობი. პოლიციელებმა მისი დაპატიმრება მოინდომეს, მაგრამ იმან რევოლვერი ამოიღო და ორივე პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრა. ორივე პოლიციელი მოკვდა. უცნობი მიიმალა.

**ხოხნოვიცი.** 17 მარტს სადამოთი სტრჟემეშიცის ახლო სოფ. ხორომბაში საარყე დუქანს 12 კაცი დაეცა. სამი დარაჯი (ჯარის კაცი) მოჰკლეს, 500 მანეთი მოიტაცეს და მიიმალნენ.

**ბუქარესტი.** მოლდავიიდან იუწყებიან: პუტნას ოლქში მღელვარების ნიშნებია. ვალახიაში შეტაკება მოხდა ჯართან. რამდენიმე გლეხი მოკლულია. გალიცში, რომელიც არეულობის ბუდედ ითვლება, მეთაურები დააპატიმრეს. გურეზანსა და პოგონში არეულობაა. იქ ჯარი მივიდა. ბევრ სოფელში არეულობის მეთაურებს იჭერე.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტრო ახლო მომავალში აპირებს უნივერსიტეტთა რექტორების კრების გამართვას, რომ გამოიკვლიოს უნივერსიტეტების საქმეთა მდგომარეობა.

იგივე სამინისტრო საჭიროდ სცნობს წლეულსვე აღადგინოს კლასიდან კლასში გადასასვლენი ეგზამენები ყველა სავაჟო და საქალებო საშუალო სასწავლებლებში.

**მოსკოვი.** იოლოსი დრაგომილოვის სასაფლაოზე დაკრძალეს. ბევრი ხალხი დაესწრო. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ მოსწავლენი. სიტყვები წარმოსთქვეს: კიზევეტტერმა, დეპუტატად ნამყოფმა ლედნიცკიმ, «რუსკი ვედომოსტების» წარმომადგენლებმა და სხვებმა, სულ 30 ორატორმა. კუბოს ამკობდა 80-მდე გვირგვინი. ინციდენტი არა მომხდარა-რა.

რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ი. მჭედლიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(ზამთრის წესით)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისის)

ტფილისიდან მიდის

**I. ბაქოს**: 1) ექსპრესი მოსკოვამდე, ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საფოსტო დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, სალამოს 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

**II. ბათუმს**: 1) საფოსტო, ნაშუადღევის 12 ს. 26 წ. (1 ს. 24 წ.); 2) სამგზავრო, სალამოს 7 ს. 7 წ. (8 ს. 5 წ.); 3) ჩქარი, სალამოს 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.).

**III. ერევანს**: 1) საფოსტო, ღამის 11 ს. 42 წ. (12 ს. 40 წ.); სამგზ. და საქონლის, ნაშუადღევის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ბათუმიდან მიდის

**ტფილის-ბაქოსაკენ**: 1) საფოსტო, ღამის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 2) სამგზავრო, სალამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.); 3) საჩქარო (მარტო ტფილისამდე), დილის 9 ს. 15 წ. (10 ს. 13 წ.).

ბაქოდან მიდის

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) ექსპრესი მოსკოვიდან, (მარტო ტფილისამდე), ღამის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2) საფოსტო, ნაშუადღევის 4 ს. 50 წ. (5 ს. 48 წ.); 3) სამგზავრო, ნაშუადღევის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 4) სამგზავრო და საქონლის, ღამის 4 ს. 3 წ. (5 ს. 1 წ.).


## განცხადებანი

ქუთაისში

კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—4)

პირველი კერძო სამკურნალო

დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (150—ხალ.—46)

გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად

**ახალი ქართული წიგნი**

მარქსიზმის შესახებ

ნ. მაქსიმოვისა, თარგმანი რ. ჯ—დრისა.

**ფასი 10 კაპ.**

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოეპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გაუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—569—13)

მარტო მამაკაცთათვის

მამაკაცთა კოსტიუმისათვის ახალი ამბავი: ამ ჟამად დიდ ხმარებაშია ერთგვარი მატერია «პოლემიკ» ამგვარ სხვა და სხვა ფერისა: ზეთის ხილის, რუხის, რუხ-თეთრის, შოკოლად-რუხის და სხვა; ყველა ნახევრად მხიარულის ფერისა თითქმის შეუმჩნეველის ოთხკუთხ ხაზებით. დღემდის ეს მატერია ჩვენში ინგლისიდან მოჰქონდათ (მარტო ბაჟი ჰქონდა დადებული 2 მან. არშინზე) და ღირდა 5—6 მანათად არშინი. მაგრამ მე მოვახერხე და სწორედ ამნაირივე მატერია შევიმუშავე; ვგზავნი ფასდადებით 6 მ. 25 კაპ. მთელ ნაჭერს, რომელშიაც 4¼ არშინია, სამყოფი მთელის კოსტიუმისათვის. ვინც ორს ან მეტს ნაჭერს გამოიწერს, მატერიის გასაგზავნ ფასს ფაბრიკა გადაიხდის. მატერიის სიმაგრე და სიკეთე უზრუნველყოფილია: თუ ცუდი აღმოჩნდა, უკანვე დ ვიბრუნებ და ფულსაც დავუბრუნებ. ადრესი ჩემი: Лодзь Зигм. Розенталю, фабрика шерст. издѣлій, №26. (Метцль и Ко 5259) (3—№ 2—1)

ქუთაისში

შემთხვევით **იყიდება** ფრანგულ სახელოსნოში გაკეთებული მაუდის **კოსტიუმი იაფად**. იკითხეთ ღინერლის ფორაქოვის სახლში, პოლიას. (6—კვ.—4)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა [illegible]

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონცი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. პეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. სადამოთი. ქალისა და ბებიობისა.

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—41)

ნამდვილი კახური ღვინო

Товарищество кахетинскихъ виноградарей „Дзмоба“ „ძმობა“ ამხანაგობა

въ Тифлисѣ. Головинскій проспектъ

Телефонъ № 1036.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—38)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან გახსნა

კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველნი შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან სალამოს 7 საათამდე.

კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერის

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), სკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან სალამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენება—3. მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—91)

დიმიტრი გრიგორისძე




სესიევი

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავაღე

პარტიობით სავაჭრო სპირტის საწყობი

ტფილისში, ვოგზლის ქუჩაზე, სახლი № 6. ტელეფონი № 197.

(3—598—1)




ეროვნული ბიბლიოთეკა